GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2021 / 30 Nisan/აპრილი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 728.6	4 274.6	-6.2%	18.5 %	7.2 %

4 Yıllık Yenileme Programı
ურბანული განახლების პროგრამა

Gürcistan Hükümeti ve Başbakan Irakli Garibashvili'nin girişimiyle, Gürcistan bölgelerinde büyük ölçekli imar ve kalkınma çalışmaları başlıyor. Girişim kapsamında devlet tarafından onaylanmış 4 yıllık programı, ülke genelinde, 63 belediyede rehabilitasyon çalışmaları öngörmektedir.

Program çerçevesinde altyapı çalışmaları, kültürel ve tarihli eserlerin rehabilitasyonu, belediye merkezlerinin rehabilitasyonu, rekreasyon alanlarının düzenlenmesi ve altyapının geliştirilmesi, kamu tesislerin geliştirilmesi, şehirlerin, turistik tesislerin ve yerleşim merkezlerin yenilenmesi için tasarım belgelerinin geliştirilmesi planlamaktadır.

Proje kapsamında ilk aşamasının maliyeti 500 milyon Laridir. Program kapsamında bölgelerde yaklaşık 15 000 iş yeri yaratılacak.

საქართველოს მთავრობის და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, საქართველოს რეგიონებში მასშტაბური განახლებითი სამუშაოები იწყება. ინიციატივის ფარგლებში 4 წლიანი სახელმწიფო პროგრამა დამტკიცდა, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, 63 მუნიციპალიტეტში, ურბანულ განახლებებს ითვალისწინებს.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები, კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ობიექტების რეაბილიტაცია, მუნიციპალური ადმინისტრაციული ცენტრების რეაბილიტაცია, რეკრეაციული სივრცეების მოწყობა და ინფრასტრუქტურის განვითარება, საზოგადოებრივი ობიექტების მშენებლობა, ქალაქების, კურორტებისა და დასახლებების ურბანული განახლების საპროექტო დოკუმენტების შემუშავება.

პროექტის პირველი ეტაპის ღირებულება 500 მილიონი ლარია. პროგრამის ფარგლებში შეიქმნება დაახლოებით 15 000 სამუშაო ადგილი, დასაქმდება რეგიონის მოსახლეობა.

Başbakan, Avrupa Yatırım Bankası Başkan Yardımcısı İle Görüştü

პრემიერი ევროპის საინვესტიციო ბანკის ვიცე-პრეზიდენტს ესაუბრა

Gürcistan Başbakanı Irakli Gharibashvili, Avrupa Yatırım Bankası (AYB) Başkan Yardımcısı Teresa Chervinski ile video konferans formatında bir araya geldi. Toplantıya Ekonomi Bakanı Natia Turnava da katıldı.

Görüşme sırasında birkaç önemli konu elle alınmıştır, bunlar arasında: Gürcistan'ın on yıllık kalkınma planı, ilan edilen 4 yıllık bölgesel kalkınma planı, KOBİ sektörünün geliştirilmesinde AYB'nin katılımı, Pandeminin ülke ekonomisine olumsuz etkileri.

Başkan Yardımcısı ile yapılan görüşmede Hükümet Başkanı, planlanan projelerde ve devam eden süreçlerde Avrupa Yatırım Bankası'nın bir partner olarak desteklenmesinin önemini vurguladı.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილი ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) ვიცე-პრეზიდენტს ტერეზა ჩერვინსკის ვიდეო კონფერენციის ფორმატში შეხვდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდა ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა.

შეხვედრაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი იქნა განხილული, მათ შორის საქართველოს განვითარების ათწლიანი გეგმის შემუშავება, დაანონსებული ქვეყნის მასშტაბური განახლების პროგრამა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში EIB-ის ჩართულობა, გლობალური პანდემია და მის უარყოფით შედეგები ქვეყნის ეკონომიკაზე.

მთავრობის მეთაურმა ვიცე-პრეზიდენტთან შეხვედრისას ხაზი გაუსვა დაგეგმილ პროექტებსა და მიმდინარე პროცესებში ევროპის საინვესტიციო ბანკის, როგორც პარტნიორის მხარდაჭერის მნიშვნელობას.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

ENER-T Gürcistan Pazarına Girmeyi Planlıyor
ENER-T- ი საქართველოს ბაზარზე შემოსვლას გეგმავს

Enerji konsorsiyum ENER-T şirketinin üst düzeyi temsilcileri Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Natia Turnava ile bir araya geldi. ENER-T temsilcileri ile yapılan toplantıya Bakan Yardımcıları Davit Tvalabeishvili, Genadi Arveladze ve Irakli Nadareishvili ile Gürcistan Enerji Geliştirme Fonu Direktörü Giorgi Chikovani de katıldı.

Toplantı sırasında şirket temsilcileri, Gürcistan'ın salgın sonrası dönemdeki büyük fırsatlarını alıtını çizerek, ülkenin yenilenebilir enerjiye, özellikle güneş enerjisi kullanımına yatırım yapma istekleri ifade ettiler. Şirket, Gürcistan pazarına girme ve bir güneş enerji santrali kurmaya planlıyor.

ენერგეტიკული კორპორაცია ENER-T ტოპ-მენეჯმენტის წარმომადგენლები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ნათია თურნავას შეხვდნენ. ENER-T-ის ხელმძღვანელობასთან შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ მინისტრის მოადგილეები დავით თვალაბეიშვილი, გენადი არველაძე და ირაკლი ნადარეიშვილი და საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის დირექტორი გიორგი ჩიქოვანი.

კორპორაცია ENER-T წარმომადგენლებმა შეხვედრისას ხაზი გაუსვეს საქართველოს დიდ შესაძლებლობებს პოსტპანდემიურ პერიოდში და აღნიშნეს დაინტერესება, განახორციელონ ინვესტიცია ქვეყნის განახლებად ენერგეტიკაში, კერძოდ კი, მზის ენერგიის ათვისებაში. კომპანია საქართველოს ბაზარზე შემოსვლას და მზის ელექტრო სადგურის მშენებლობას გეგმავს.

Ülkede İlan Edilen Kısıtlamalar
ქვეყანაში დაწესებული შეზღუდვები

Gürcistan Kurumlar Arası Koordinasyon Konseyi 4-11 Mayıs tarihlerinde tatil günleri ilan etmiştir. Konseyi tarafından alınmış kararına göre ilan edilmiş tatil günleri sadece aşağıdaki faaliyetleri / kurumları kısıtlanmayacaktır:

1. Tıbbi faaliyetleri üreten kurumlar.
2. Eczacılık faaliyetleri.
3. Sosyal koruma ve bakım kurumları.
4. Gıda / hayvan yemi üretimi, dağıtımı ve satışı.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

5. Karayolu, demiryolu ve hava taşımacılığı.
6. Liman, hava liman ve navigasyon hizmetleri.
7. Posta ve kurye hizmetleri.
8. Su, elektrik ve gaz temini.
9. Karantina hizmetleri.
10. Kurtarma faaliyetleri.
11. Oksijen üretimi ve dağıtımı.
12. Teknolojik yapısı gereği faaliyetlerini durduramayan işletmeleri.
13. Cenaze faaliyetleri.
14. Metalurji ve madencilik faaliyetleri. Adı geçen işlerin eksiksiz ve güvenli bir şekilde uygulanması için gereken diğer tüm faaliyetler.

Belediye ulaşım hizmetleri 3 – 12 Mayıs tarihleri arasında (12 Mayıs dahil olmak üzere) durdurulacak.

საქართველოს სააკორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით 4 -11 მაისი საქართველოში უქმე დღეებად გამოცხადდა. საბჭოს გადაწყვეტილებით უქმე დღეები მხოლოდ ქვემოთ ჩამოთვლილ საქმიანობებს / ორგანიზაციებს არ შეეხებათ:

1.სამედიცინო საქმიანობის მიმწოდებელი დაწესებულებები.
2. ფარმაცევტული საქმიანობა.
3. სოციალური დაცვისა და ზრუნვის დაწესებულებები.
4. სურსათის/ცხოველის საკვების წარმოება, დისტრიბუცია, რეალიზაცია.
5. საავტომობილო სატვირთო გადაზიდვები.
6. სარკინიგზო და საჰაერო გადაზიდვა-გადაყვანა.სანავსადგურე, სააეროპორტო და სანავიგაციო მომსახურება.
7. საფოსტო და საკურიერო მომსახურება.
8. წყალი, ელექტროენერგია და გაზით მომარაგება.
9. საკარანტინო მომსახურება.
10. სამაშველო საქმიანობა.
11. ჟანგბადის წარმოება-მიწოდებასთან დაკავშირებული საქმიანობები.
12. უწყვეტი ტექნოლოგიური ციკლის მქონე საწარმოები (საწარმოები, სადაც ტექნოლოგიური ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია საქმიანობის შეჩერება).
13. დაკრძალვასთან დაკავშირებული საქმიანობები.
14. მეტალურგია, სამთომოპოვებითი მრეწველობა, წიაღის გამდიდრების სამუშაოები, ასევე აღნიშნული სამუშაოების სრულყოფილად და უსაფრთხოდ განხორციელებისათვის საჭირო სხვა აუცილებელი საქმიანობები.

ასევე მუნიციპალური ტრანსპორტი გაჩერდება 3-დან 12 მაისის ჩათვლით.

Covid – 19
კოვიდ – 19

Gürcistan'da korona virüs vaka sayısının artış eğilimi devam ediyor. Bu hafta içerisinde doğrulanmış vaka sayısı 8775'e ulaştı (ortalama: 1253 kişi/gün). Tespit edilen vaka sayıları ile Tiflis bölgesi tekrar ön sıradadır.

Son istatistik verilerine göre Gürcistan'da doğrulanmış korona virüs vakalarının toplam sayısı 310 310'e ulaştı. Can Kaybı – 4110, iyileşenlerin sayısı – 290 767, aktif vaka ise – 15 433. Halihazırda hastanelerde 3873, otellerde ise 749 kişi tedavi görüyor, 99 kişi ise karantinadadır. Testlerdeki pozitif oranı, günlük olarak %5.29'e eşittir. Son 14 gün içerisindeki pozitif oranı %4.7'e, 7 gün içerisindeki pozitif oranı ise %4.85'e eşittir. Gürcistan'da aşı toplam 45 338 kişiye yapıldı.

Dünya çapında ise korona virüs vakalarının sayısı 151 milyona aşmıştır. Worldometers'e dayanarak, vakaların sayısı – 151 234 156; Can Kaybı – 3 182 057; İyileşen kişi sayısı – 128 648 924. En çok vaka sayısı ABD, Hindistan, Brezilya, Fransa ve Rusya'da görülmüştür.

საქართველოში კორონა ვირუსის დადასტურებული შემთხვევების რიცხვის მზარდი ტენდენცია გრძელდება. მიმდინარე კვირას დადასტურებულ შემთხვევათა რაოდენობა 8775-ს უტოლდება (1253 კაცი საშუალოდ დღეში). ინფიცირების მაღალი მაჩვენებლებით ისევ დედაქალაქი გამოირჩევა.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა საქართველოში 310 310 შეადგინა, გარდაიცვალა 4110, გამოჯანმრთელდა 290 767, ხოლო 15 433 აქტიური შემთხვევაა, რომელთაგანაც 3873 სტაციონარული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, 749 პაციენტი კი სასტუმროში გადის მკურნალობას. კარანტინის რეჟიმშია 99 ადამიანი. ჩატარებულ ტესტებში დადებითობის მაჩვენებელი დღიურად 5.29%-ს უტოლდება. ბოლო 14 დღის განმავლობაში დადებითობის მაჩვენებელი არის 4.7%, ხოლო 7 დღის 4.85%.

საქართველოში ჯამურად აცრა 45 338 ადამიანს ჩაუტარდა.
კორონა ვირუსით ინფიცირებულთა რიცხვმა მსოფლიოს მასშტაბით, ბოლო სტატისტიკური მონაცემებით 151 მილიონს გადააჭარბა. Worldometers-ის ცნობით, ჯამში, ახალი ვირუსით 151 234 156 ადამიანი დაინფიცირდა, გარდაიცვალა 3 182 057, ხოლო გამოჯანმრთელდა 128 648 924 პირი. ყველაზე მეტი ინფიცირებული აშშ-ს, ინდოეთს, ბრაზილიას, საფრანგეთსა და რუსეთს ჰყავს.

AK YIL ZEMIN ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bankası

Gürcistan'a Basitleştirilmiş Kurallarla Giriş Yapabilecek Ülke Vatandaşları/Sakinleri

AB/ევროკავშირი	Bahreyn /ბაჰრეინი
Isviçre / შვეიცარია	BAE / არაბეთის გაერთიანებული საამიროები
Suudi Arabistan / საუდის არაბეთი	İsrail / ისრაელი
ABD / აშშ	Beyaz Rusya / ბელორუსი
Türkiye/თურქეთი	Azerbaycan / აზერბაიჯანი
Norveç / ნორვეგია	Ermenistan / სომხეთი
Katar / ყატარი	Ukrayna/უკრაინა
Kazakistan / ყაზახეთი	Rusya / რუსეთი

Kayıt linki: https://registration.gov.ge/pub/form/8_protocol_for_arrivals_in_georgia/tk6157/

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 3.4503 TRY/GEL – 0.4214 EUR/GEL – 4.1818 GBP/GEL – 4.8076

USD/GEL

23 - 30 Nisan 2021

USD/TRY

23 - 30 Nisan 2021

TRY/GEL

23 - 30 Nisan 2021

BTC – 54 378.77

23 - 30 Nisan 2021